

მე-2 კლასი

1. (3 ქულა) ბებიასთან სტუმრად დაჩიმ 4 საათი გაატარა. რომელ საათზე მივიდა დაჩი ბებიასთან, თუ ბებიასგან სახლში 6 საათზე წამოვიდა.



- ა) 5 ბ) 3 გ) 2 დ) 1

2. (3 ქულა) 10 ხინკალი იხარშება 20 წუთში. რამდენ წუთში მოიხარშება 1 ხინკალი?



- ა) 20 წუთში ბ) 10 წუთში გ) 2 წუთში დ) 15 წუთში

3. (3 ქულა) ზეგ კვირაა. რა დღე იყო გუშინ?



- ა) პარასკევი ბ) ხუთშაბათი გ) შაბათი დ) ოთხშაბათი

4. (4 ქულა) წიგნში მოთხრობა იწყება 25-ე გვერდზე და მთავრდება 61-ე გვერდზე. რამდენ გვერდიანია ეს მოთხრობა?




ა) 35

ბ) 36

გ) 37

დ) 38

5. (4 ქულა) რა რიცხვი უნდა ჩაწეროს სალომემ პირველ უჯრაში, რომ ბოლო უჯრაში მიიღოს 100?



ა) 40

ბ) 30

გ) 70

დ) 50

6. (4 ქულა) რომელი უფრო მძიმეა 1 კგ ქვა თუ 1კგ ბუმბული?

ა) ქვა

ბ) ბუმბული

გ) ტოლია

დ) ამის გაგება შეუძლებელია

7. (6 ქულა) ჭადრაკის ოლიმპიადის ფინალში მონაწილეობდა 6 ბიჭი და 4 გოგონა. რამდენი წყვილი მონაწილეობდა ფინალში?



- ა) 10 ბ) 6 გ) 5 დ) 4

8. (8 ქულა) ლუკამ 5-ჯერ ისროლა მიზანში და დააგროვა 44 ქულა. 2-ჯერ მან მოახვედრა 8-იანში, 2-ჯერ 9-იანში. რამდენი ქულა დააგროვა ლუკამ მე-5 გასროლისას?



- ა) 5 ბ) 10 გ) 7 დ) 9

9. (8 ქულა) მაღაზიაში ორთვლიანი და სამთვლიანი ველოსიპედები გაიყიდა. ყველას ერთად 27 ბორბალი ჰქონდა. ორთვლიანი ველოსიპედი უფრო მეტი გაიყიდა, ვიდრე სამთვლიანი. რამდენი ორთვლიანი ველოსიპედი გაიყიდა სულ?



ა) 4

ბ) 5

გ) 7

დ) 6

10. (8 ქულა) სპორტის გაკვეთილზე ერთმანეთის მიყოლებით გარბოდნენ ბავშვები. ერთი დანარჩენ ორზე წინ იყო. ერთადერთი გოგონა ბიჭებს შორის იყო. უკანასკნელი ბიჭის წინ გოგონა გარბოდა. სულ რამდენი ბავშვი გარბოდა?

ა) 3

ბ) 4

გ) 5

დ) 6